1) შემოხაზე $(10 + 12) \cdot 5$ გამოსახულების ტოლი გამოსახულება.

ა) $50 + 12$

ბ) $50 + 60$

გ) $10 + 60$

დ) $10 + 125$

2) ერთი დეტალის დასამზადებლად 12 კგ ლითონია საჭირო, რამდენი ასეთი დეტალი დამზადდება 712 კგ ლითონისაგან?

ა) 55

ბ) 59

გ) 60

დ) 63

LIVEWORKSHEETS

3)

ცხრილში ნაჩვენებია საქართველოს ზოგიერთი მდინარის სიგრძე.

საქართველოს ზოგიერთი მდინარე

მდინარის დასახელება	**სიგრძე (კმ)**
ენგური	206
არაგვი	110
ცხენისწყალი	184
იორი	183
ყვირილა	152

შეიძლება თუ არა პასუხი გაეცეს შეკითხვას: რამდენი კმ-ით გრძელია ენგური იორზე?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

4)

ცხრილში მოცემულია ერთ-ერთი მაღაზიის ერთი კვირის ნავაჭრი. ცხრილის მიხედვით რომელი წინადადებაა სწორი?

ნავაჭრი

დასახელება	**რაოდენობა**
კოვზი	72
თოჯინა	16
მაკრატელი	14
ბურთი	13
ლოტო	3

ა) გაყიდული სათამაშოები მეტია ვიდრე გაყიდული კოვზები

ბ) მაკრატელი უფო მეტი გაიყიდა, ვიდერე ბურთი და ლოტო ერთად

გ) გაყიდული თოჯინების რაოდენობა გაყიდული სათამაშოების ნახევარია

დ) გაყიდული ლოტოს რაოდენობა გაყიდული ბურთების მესამედია.

5)

რომელია არასწორი უტოლობა? (∗-ით რაღაც ციფრებია აღნიშნული)

ა) 100∗∗ > 999∗

ბ) 433∗∗∗ > 429∗∗∗

გ) 7604∗∗ < 7605∗∗

დ) 4810∗∗ < 4809∗∗

LIVEWORKSHEETS

6)

ჩამოწერეს ყველა ოთხნიშნა რიცხვი, რომელთა ჩანაწერი შედგება ციფრებისგან **3** ან **0**. სულ რამდენი რიცხვი ჩამოუწერიათ?

ა) 30 ბ) 8 გ) 3 დ) 2

7)

მიწის ნაკვეთის მეოთხედ ნაწილში დათესილია კარტოფილი. ნაკვეთის ნახევარი უჭირავს სიმინდის ყანას, ხოლო სხვა მეოთხედში დათესილია სტაფილო. რომელი ნახატი შეესაბამება ამ შემთხვევას?

ა)

<table>
<tr><td>კარტოფილი</td><td rowspan="2">სიმინდი</td></tr>
<tr><td>სტაფილო</td></tr>
</table>

ბ)

<table>
<tr><td>სტაფი-
ლო</td><td>კარტოფილი</td><td>სიმინდი</td></tr>
</table>

გ)

<table>
<tr><td>კარტოფილი</td><td rowspan="2">სტაფილო</td></tr>
<tr><td>სიმინდი</td></tr>
</table>

დ)

<table>
<tr><td>კარტოფილი</td><td>სტაფილო</td><td>სიმინდი</td></tr>
</table>

LIVEWORKSHEETS

8)

დიაგრამაზე ნაჩვენებია გიორგის ფერმაში ძროხების რაოდენობა **2006** წლიდან **2010** წლის ჩათვლით.



რამდენი ძროხა ჰყავდა გიორგის 2010 წელს?

ა) 3 5 ბ) 25 გ) 40 დ) 45

9)

სკოლის ეზოს მართკუთხედის ფორმა აქვს. ეზო დაყოფილია ოთხ ტოლ ნაწილად - როგორც ეს ამ ნახაზზე ჩანს:

სკოლის ეზოს რა ნაწილი უკავია სპორტულ მოედნებს ერთად?

ა) $\frac{1}{4}$ ბ) $\frac{1}{2}$ გ) $\frac{3}{4}$ დ) $\frac{4}{2}$

LIVEWORKSHEETS

10)

ცნობილია,რომ



ცარიელ უჯრაში ჩაწერე რიცხვი, რომლის მოდელიც ნახაზზეა წარმოდგენილი.





11)

რომელი ფიგურის გამუქებული ნაწილი გამოსახავს ამ ფიგურის ნახევარს?



ა) I და III ბ) მხოლოდ I გ) I და IV დ) II

LIVEWORKSHEETS

12)

როგორი რიცხვი უნდა გამოვაკლოთ **9000**-ს, რომ მივიღოთ **3000**-ზე ნაკლები რიცხვი?

ა) 8000-ზე მეტი
ბ) 12000-ზე ნაკლები
გ) 6000 -ზე ნაკლები
დ) 6000-ზე მეტი

13)

რომელია 93506-ის დაშლა **სათანრიგო შესაკრებთა** ჯამად?

ა) $9 \cdot 10000 + 3 \cdot 100 + 5 \cdot 10 + 6$	გ) $9 \cdot 1000 + 3 \cdot 100 + 5 \cdot 10 + 6$
ბ) $9 \cdot 100000 + 3 \cdot 1000 + 5 \cdot 10 + 6$	დ) $9 \cdot 10000 + 3 \cdot 1000 + 5 \cdot 100 + 6$

14)

მერიმ რაღაც წესით შეავსო ქვემოთ მოყვანილი ცხრილი

40	4000
50	5000
80	8000
20	2000

რა წესია გამოყენებული პირველი სვეტის რიცხვებისგან მეორე სვეტის რიცხვების მისაღებად?

ა) გამრავლებულია 10-ზე
ბ) გამრავლებულია 100-ზე
გ) გამრავლებულია 1000-ზე
დ) გამრავლებულია 10000-ზე

LIVEWORKSHEETS

15)

სქემაზე მოცემულია შესაბამისობა ცხოველებსა და მათ ნაშიერებს შორის. რომელი ცხოველის ნაშიერია ბოკვერი?



ა) აქლემი ბ) ძაღლი გ) ვეფხვი დ) ცხენი

16)

ნახაზზე მოცემულია ABC სამკუთხედი და BCEF ოთხკუთხედი.



აღნიშნული წერტილებიდან რომელია ამ ფიგურებისთვის საერთო წერტილები?

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

LIVEWORKSHEETS

17)

სწორია თუ არა, რომ ცხრილში მოცემულია ასეთი შესაბამისობა:

რიცხვს შეუსაბამეს გაორმაგებული რაოდენობა?

40	80
60	120
70	140
160	80
200	100
220	110

პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

18)

ზომის ერთეულები: კილომეტრი, მეტრი, სანტიმეტრი შეუსაბამე ცხრილში მოცემულ მანძილებს და შეავსე ცხრილი:

მანძილი	**ზომის ერთეული**
ოთახის სიგრძე	
თვითმფრინავის მიერ ნაფრენი მანძილი	
ფანქრის სიგრძე	

LIVEWORKSHEETS

19)

რომელი გამოსახულებით შეიძლება y-ის პოვნა, თუ :

$1350 - y = 305$

ა) $1350 + 305$ გ) $1350 \cdot 305$

ბ) $1350 : 305$ დ) $1350 - 305$

20)

კაფეში ყოველ მაგიდასთან 6 სკამი დგას. სულ კაფეში 72 სკამია. ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი გამოსახულებით შეიძლება გამოვთვალოთ კაფეში მაგიდების რაოდენობა?

ა) $6 \cdot 72 = \square$ გ) $72 : 6 = \square$

ბ) $72 - \square = 6$ დ) $6 + \square = 72$

LIVEWORKSHEETS

21)

მოსწავლეს სახლიდან სკოლამდე მისვლა ორი გზით შეუძლია: ABCDM გზით ან AKPQM გზით. შეადარე ამ გზების სიგრძეები ერთმანეთს.



პასუხი ჩაწერე ცარიელ უჯრაში:

ABCDM გზის სიგრძე ☐ AKPQM გზის სიგრძე

LIVEWORKSHEETS

22)

დააკვირდი სურათს:



რომელი წახნაგებია არამოსაზღვრე?

ა) ABC და MNK

ბ) MNK და MKCA

გ) MNK და ABNM

დ) ABNM და CKMA

LIVEWORKSHEETS

23)

სამი თვის განმავლობაში მე-4ᵃ და მე-4ᵇ კლასის მოსწავლეები აგროვებდნენ მაკულატურას. ცხრილში მოცემულია მათ მიერ შეგროვილი მაკულატურის რაოდენობები.

თვე	მე-4ᵃ კლასი	მე-4ᵇ კლასი
I	25 კგ	28 კგ
II	27 კგ	30 კგ
III	15 კგ	11 კგ

ცხრილის მიხედვით, რომელი წინადადებაა სწორი:

ა) მე-4ᵃ კლასის მოსწავლეები ყოველთვის უფრო ნაკლებ მაკულატურას აგროვებდნენ, ვიდრე მე-4ᵇ კლასის მოსწავლეები

ბ) სამი თვის განმავლობაში მე-4ᵇ კლასის მოსწავლეების მიერ შეგროვილი მაკულატურის რაოდენობა მეტია მე-4ᵃ კლასის მიერ შეგროვილზე.

გ) პირველ თვეში მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა იმდენი მაკულატურა მოაგროვეს, რამდენიც მეორე თვეში მე - 4ᵃ კლასის მოსწავლეებმა.

დ) პირველი ორი თვის განმავლობაში მე-4ᵃ კლასის მოსწავლეებმა მეტი მაკულატურა მოაგროვეს, ვიდრე მე-4ᵇ კლასის მოსწავლეებმა.

LIVEWORKSHEETS

24)

იანგარიშე ქვეშმიწერით: **10881 : 27**

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი: _____

25)

მაკომ ლალისგან 1150 ლარი ისესხა და ავტომობილი იყიდა. შეიძლება თუ არა მაკოს ავტომობილის საყიდლად შეგროვილი ჰქონოდა 3300 ლარი, თუ ავტომობილის ფასის გამომსახველი რიცხვის უახლოესი ათასეულია 5000? პასუხი დაასაბუთე.

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

LIVEWORKSHEETS

26)

მექოთნე ერთ საათში 2 ქოთანს აკეთებს, ერთი ფიალის გასაკეთებლად კი - მეოთხედი საათი სჭირდება. რამდენი წუთით მეტი დრო სჭირდება მექოთნეს ქოთნის დასამზადებლად, ვიდრე ფიალის?

ამოხსნა დაწერე აქ:

პასუხი:

27)

ქვემოთ ჩამოთვლილთაგან რომელი ნახაზი არ წარმოადგენს ორ ხუთკუთხედს?

ა)

ბ)

გ)

დ)

28)

შეადარე ფიგურები ერთმანეთს:



ა) ბ) გ) დ)

შემოხაზე ჭეშმარიტი შემდეგთაგან:

ა) ყველა ფიგურა პრიზმაა;

ბ) ზოგიერთი ფიგურა პრიზმაა;

გ) ყველა ფიგურა კუბია;

დ) არცერთი ფიგურა არაა პრიზმა.

LIVEWORKSHEETS